ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №ნ3/კარტ/4

თბილისი „15“ ნოემბერი 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის, თამარ კაპანაძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ნიუ-კარტი“ შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის როლანდ შონიას სახით, ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა <u>საკუთარი შემოსავლების</u> ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის ტონერიანი კარტრიჯის დამუხტვის (cpv კოდი: 30100000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული მომსახურება 500.00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები: პრინტერის (მათ შორის კომბაინის) ერთეული კარტრიჯის დამუხტვა – 19 ლარი, ასლგადამღები აპარატის ერთეული კარტრიჯის დამუხტვა – 38 ლარი.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია, ქ. თბილისი, რუსთაველის №10.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2. მიწოდებულ მომსახურებაზე ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ან/და დ.ღ.გ.-ს ანგარიშფაქტურის საფუძველზე;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2 პუნქტში მოცემულ დოკუმენტებს.(საჭიროებისამებრ)

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადახედვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების

თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ლევან კაპანაძე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია	შპს „ნიუ-კარტი"
მის.: ქ. თბილისი, რუსთაველის №10	მის.: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას N43
„ბანკი რესპუბლიკა" REPLGE22	სს"კონსტანდარტ ბანკი"
ანგ.№ GE44 BR00 0001 0433 4824 90	ანგ.№ GE16KS0000000004171335
ს/კოდი: 203853883	ს/კოდი: 205293323
დირექტორი	დირექტორი
თ. კაპანაძე	რ. შონია

ნიუკარტი

მიღება-ჩაბარების აქტი N 513

„ 17" -- ნოემბერი -- 2015 წ. *ქ.თბილისი*

ერთის მხრივ **შპს „ ნიუკარტი"** *- ს წარმომადგენელი ხატია უგრეხელიძე და მეორეს მხრივ* **სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია" - ს** *(ს/კ: 203 853 883 მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის N37 დ) წარმომადგენელი ლევან კაპანაძე ვადასტურებთ , რომ ხატია უგრეხელიძემ ჩავაბარე და ლევან კაპანაძემ ჩავიბარე შესრულებული სამუშაო:*

ნ	საქონლის დასახელება	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	2	3	4	5	6
1	კარტრიჯი canon 725 დამუხტვა	ც	1	19.00	19.00
2	კარტრიჯი 2612A დამუხტვა	ც	1	19.00	19.00
3	კარტრიჯი 728 დამუხტვა	ც	1	19.00	19.00
4	კარტრიჯი 83A დამუხტვა/ბარაბანი	ც	1	19.00	19.00
5	კარტრიჯი FX 10 დამუხტვა/ბარაბანი	ც	1	19.00	19.00
				სულ	95.00

სულ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაა : 95.00 (ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი და 00 თეთრი

შპს „ ნიუკარტი"- ს წარმომადგენელი : *ხატია უგრეხელიძე*

სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია -ს წარმომადგენელი : *ლევან კაპანაძე*

რეკვიზიტები
შპს ნიუ-კარტი
დირექტორი: როლანდ შონია
მენეჯერი:+99532 142263 / 555 41 15 48
ელ.ფოსტა: info@newcart.ge
www.newcart.ge
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205293323
იურიდიული მისამართი: თბილისი, დ-დიღომი, 3 მკრ, კორპ.5, ბ.204
საბანკო რეკვიზიტი: სს"კორსტანდარტ ბანკი" *ბანკის კოდი:* KSBGGE22
ა/ა GE16KS0000000004171335

ტრანსპორტირება განხორციელდა შპს „ნიუკარტი"(მიმწოდებლი) - ს მიერ.

ნიუკარტი

მიღება-ჩაბარების აქტი N 517

„ 17" -- ნოემბერი -- 2015 წ. *ქ.თბილისი*

ერთის მხრივ **შპს „ ნიუკარტი"** *- ს წარმომადგენელი ხატია უგრეხელიძე და მეორეს მხრივ* **სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია" - ს** *(ს/კ: 203 853 883 მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის N37 დ) წარმომადგენელი ლევან კაპანაძე ვადასტურებთ , რომ ხატია უგრეხელიძემ ჩავაბარე და ლევან კაპანაძემ ჩავიბარე შესრულებული სამუშაო:*

N	საქონლის დასახელება	ერთეულის განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	2	3	4	5	6
1	კარტრიჯი CEXV 33	ც	2	38.00	38.00
				სულ	76.00

სულ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაა : 76.00 (სამოცდათექვსმეტი) ლარი და 00 თეთრი

შპს „ ნიუკარტი"- ს წარმომადგენელი : *ხატია უგრეხელიძე*

სსიპ თბილისის კლასიკური გიმნაზია -ს წარმომადგენელი : *ლევან კაპანაძე*

რეკვიზიტები
<u>შპს ნიუ-კარტი</u>
დირექტორი: როლანდ შონია
მენეჯერი:+99532 142263 / 555 41 15 48
ელ.ფოსტა: info@newcart.ge
www.newcart.ge
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205293323
იურიდიული მისამართი: თბილისი, დ-დიღომი, 3 მკრ, კორპ.5, ბ.204

საბანკო რეკვიზიტი: **სს"კორსტანდარტ ბანკი"** ***ბანკის კოდი:*** **KSBGGE22**
ა/ა GE16KS0000000004171335

ტრანსპორტირება განხორციელდა შპს „ნიუკარტი"(მიმწოდებლი) - ს მიერ.